



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 44

ქ.ბათუმი

29/05/2018

44-06-4-201805291107



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობაში  
თამბაქოს მოწვევის აკრძალვის შესახებ

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. აიკრძალოს თამბაქოს მოწვევა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში.
2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობებში, სადაც ის ეწევა საქმიანობას, თამბაქოს მოწვევის აკრძალვა/შეზღუდვა, არ დაუშვას თამბაქოს მოწვევა, ხოლო თამბაქოს მოწვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი.
3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის დამხმარე სპეციალისტებს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ შენობა-ნაგებობების ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსოს თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწვევის აკრძალვის/შეზღუდვის თაობაზე, აგრეთვე დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში. თვალსაჩინო ადგილას განათავსოს თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წინამდებარე წესები.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე